



რისკების გავლენის თავისებურებები საბანკო სისტემაში

რეზიუმე

გიორგი ხანთაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: giadec6@yahoo.com

ეკონომიკური რისკის არსი დაკავშირებულია სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან, როცა არ არის გარკვეული მათი შედეგი. ეს გულისხმობს მისი დასრულების ერთი ან რამდენიმე ვარიანტის არსებობას, რომელთაც განხორციელების განსხვავებული ალბათობა გააჩნიათ. მსგავსი სიტუაციის გაცნობიერება ადამიანს საშუალებას აძლევს გაურკვეველობა გადაწყვიტოს რისკის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, გამოსავლის რამდენიმე ვარიანტიდან ერთის მიღებით.

საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიული და ოპერატიული მართვის პროცესებში რისკ-მენეჯერის ქმედებები მმართველია რისკის ზომის გამოვლენისკენ, მათი ზღვრულად დასაშვები დონის განსაზღვრისკენ და რისკის მიმდინარე სიდიდის შენარჩუნებისაკენ მოცემული შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრულია როგორც რეგულატორებით, ასევე, შინაგანი წესებით. ამასთან, უნდა გვესმოდეს, რომ რეგულატორის ნორმატიული მოთხოვნები ეფუძნება საბანკო სისტემის საშუალო რისკების მაჩვენებლებს, ამიტომ მიზანშეწონილია რისკის შეფასების საკუთარი სისტემის ფორმირება.

საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მართვის სისტემის ფარგლებში ინტეგრირებული რისკ-მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების ძირითად მიზანს წარმოადგენს ბანკის მოღვაწეობის პროცესში მისაღები რისკების მიღების უზრუნველყოფა, რომელიც ბიზნესის მასშტაბის და საკუთარი სახსრების სიდიდის ადეკვატური იქნება.

საკვანძო სიტყვები: რისკი, რისკ-მენეჯმენტი, ბანკი, საკრედიტო ორგანიზაცია, ბაზელ I-III.

რისკის მართვის მეთოდების ვერიფიკაცია და მოდიფიკაცია

კონცეპტუალურ დონეზე ხდება რისკების მართვის პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება. თანამედროვე სიტუაციაში რისკის სხვადასხვა ფაქტორის შემადგენლობა და გავლენის ძალა მუდმივად იცვლება. ამიტომ უნდა ხდებოდეს რისკების მართვის მეთოდები-

სა და რეგლამენტის მუდმივი ვერიფიკაცია და მოდიფიკაცია. ვერიფიკაცია გულისხმობს რისკ-მენეჯმენტის ინსტრუმენტებისა და პროცედურების ადეკვატურობისა და საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შინაგანი და გარეგანი პირობების ანალიზს.

თუ ვერიფიკაციის პროცესში გამოვლინდა რისკების რეგულირებისა და შეფასების გამოყენებული მოდელების მნიშვნელოვანი უზუსტობები, იწყება მათი სრულყოფის გზების ძიება. სამწუხაროდ, ამ პროცედურების სტანდარტიზება რთულია, მაგრამ კვლევების გამოცდილება აჩვენებს, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში რისკების ფაქტორები და ბანკის საქმიანობაზე მათი ზემოქმედების ძალა მნიშვნელოვნად იცვლება.

რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიული დონე გულისხმობს რისკისადმი მიდრეკილების განსაზღვრას და რისკ-კაპიტალის გამოყოფას, ბანკის განვითარების პერსპექტიული გეგმების რისკების შეფასებასა და მოცემული რისკების შეზღუდვების მეთოდების განსაზღვრას. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ხდება შემდეგი პროცედურების რეალიზება:

- რისკების ზღვრულად დასაშვები დონის განსაზღვრა და ღირებულებების საბჭოსთან შეთანხმება (რისკების დასაფარად კაპიტალის გამოყოფა)
- დაფარვის განაწილება ბანკის განვითარების პროექტებისა და საქმიანობის მიმართულებებზე.
- ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მოცულობებზე პრინციპული შეზღუდვების ფორმირება.

- მოცემული შეზღუდვების დაცვის კონტროლი და მათი ადეკვატურობის ანალიზი საქმიანობის ცვალებად პირობებში.

პერსპექტიული დაგეგმარების სისტემაში ამ პროცედურების ინტეგრაციის აღწერა მოცემული იყო ამ ნაშრომის მეექვსე თავში. სტრატეგიული ლიმიტების სისტემის ფორმირებისა და განვითარების მეთოდები შესატყვისი რისკების დონის ცვლილებებთან შესაბამისო-



ბაში აღწერილი იქნებიან ამ ნაშრომის შემდეგ თავებში.

რისკების მართვის სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ანტიკრიზისული ზომების კომპლექსების განსაზღვრა, რომლის რეალიზებაც ხდება არასაშტატო სიტუაციებში, როცა მთლიანად ბანკში ან მისი საქმიანობის ცალკეულ მიმართულებაში წარმოიქმნება ფინანსური შედეგების დაუგეგმავი გაუარესება. ამ შემთხვევაში აუცილებელია აღმოვფხვრათ კრიზისული სიტუაციის განვითარება და მინიმუმამდე დავიყვანოთ წარმოქმნილი რისკების ჯვარედინი გავლენა, რისთვისაც:

- შემოდის შეზღუდვები ან იკრძალება ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება, რომელიც გააუარესებს საწყის სიტუაციას.

- განისაზღვრება ზომების ჩამონათვალი, რომელიც დეტალიზებულია ფინანსურ ინსტრუმენტებად და შეიძლება გულისხმობდეს იმ დამოუკიდებელ ქვეგანყოფილებებს შორის გარიგებების განხორციელების ფუნქციების გაყოფას, რომლებიც იღებენ კოლეგიალურ გადაწყვეტილებას მათი განხორციელების შესაძლებლობის შესახებ;

- ხორციელდება ქვეგანყოფილებებისა და ცალკეული თანამშრომლების საქმიანობის შედეგების დამოუკიდებელი შეფასება;

- მიმდინარეობს დამოუკიდებელი ქვეგანყოფილებების მიერ გარიგებების პირობების ბაზრის საშუალო მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი;

- დამოუკიდებელი ქვეგანყოფილებების მხრიდან ხორციელდება ოპერაციის პირობების ცვლილების კონტროლი;

- კონტრაგენტის მხრიდან ხდება გარიგების დადასტურება;

- იურიდიული სამსახურის მიერ ხორციელდება ოპერაციის შესათანხმებელი პირობების გაფორმების კონტროლი;

რისკების მართვის ოპერაციულ დონეზე ხდება შემდეგი პროცედურების ფორმირება:

- განხორციელებული ოპერაციების რისკების წინასწარი ანალიზი და ოპერაციული ლიმიტების დადგენა (ანუ ლიმიტები კონკურენტული ოპერაციების განსახორციელებლად);

- განხორციელებული ოპერაციების რისკების დონის მონიტორინგი;

- გამოყოფილი რისკების დაფარვის ფორმირება და მათი რეგულირების მეთოდების განსაზღვრა.

ოპერაციული მართვის პროცესებში გროვდება ინფორმაცია რეალიზებული რისკების მოცულობის შესახებ, რომლის საფუძველზეც

ფორმირდება რისკების შეფასებისა და მართვის კონცეპტუალური მოდელები. ეს მოდელები გამოიყენება რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიის შემუშავების პროცესში, მათ შორის შეზღუდვების ფორმირებისას. რისკების მართვის ოპერაციული დონის იერარქიული სტრუქტურის ზედა დონეზეც მდებარეობს პრინციპული სტრატეგიული შეზღუდვები, ხოლო დაბალ დონეზე მათი კონკრეტული რეალიზაცია.

რისკების შეფასების მეთოდების დამუშავება ხორციელდება რისკების მართვის განყოფილებაში და მტკიცდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ. ეს მეთოდები შემდგომში გამოიყენება რისკების იდენტიფიკაციის, მონიტორინგისა და კონტროლის პროცედურებში. რისკების შეფასება წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის სისტემის მეთოდურ ელემენტებს და გულისხმობს:

- ფინანსური და არაფინანსური რისკების შესახებ პროფესიონალური მსჯელობების ფორმირების მეთოდიკას;

- რისკების რუქის შედგენის მეთოდიკას;

- ბანკის კონტრაგენტების რისკების შეფასების რეიტინგულ მეთოდებს;

- ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო რისკების შეფასების მეთოდებს;

- რისკის და მისი შემადგენელი კომპონენტების: საკრედიტო, საბაზრო, ოპერაციული, ბიზნეს და საპროექტო რისკების შეფასების მოდელებს.

რისკების გამოვლენისა და მათი ძალის შეფასების შემდეგ იქმნება რისკების რეგულირების ზომები. ამ დროს გამოიყენება რისკების შეზღუდვის მეთოდები (ლიმიტები) და რისკის გადაცემის მეთოდები, რომლებიც ასევე შედიან რისკ-მენეჯმენტის მეთოდოლოგიური ელემენტების შემადგენლობაში.

საპროცენტო რისკის თავისებურებები

საყურადღებოა სტრესის გავლენა ეკონომიკურ ღირებულებაზე, რომელიც მოგება-ზარალზე პირდაპირ არ აისახება, თუმცა გავლენას ახდენს ბანკის საბაზრო ღირებულებაზე. ამ მხრივ, საპროცენტო რისკის უფრო ზუსტ შეფასებას რიგი ფაქტორები ართულებს, მათ შორის, კონკურენტის ხელშეწყობისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს 2-პროცენტო ლიმიტი, ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე ერთსა და იმავე უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების ღირებულებას შორის განსხვავება და ხელშეკრულებებში არსებული ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ცვლილების



შემთხვევაში, ბანკებს აქვთ უფლება გადახედონ ხელშეკრულების მიხედვით დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს. საპროცენტო რისკის უფრო სიდრმისეული შეფასებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკმა დანერგა საპროცენტო გეგმის ახალი ფორმა, რომელშიც საპროცენტო ხასიათის აქტივები და ვალდებულებები უფრო დაწვრილებითაა ჩაშლილი სავალუტო და ვადიანობის კრიტერიუმში და, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, სახსრები მოზიდულია შიდა თუ უცხოური წყაროებიდან. ამ ფორმის საშუალებით საქართველოს ეროვნული ბანკი აფასებს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ ბანკების ეკონომიკურ ღირებულებაზე. გრძელდება მოდელის კალიბრაცია. მისი სრულყოფა დაკავშირებულია ისეთ სირთულეებთან, როგორიცაა ბანკების აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ვადიანობის დადგენა, სარგებლიანობის გრძელვადიანი მრუდის აგება და სხვა. თუმცა, არსებული შეფასებით, ღირებით 400, ხოლო უცხოური ვალუტით 200 საბაზო პუნქტით საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგი აღნიშნულ მაჩვენებელზე მართვადია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით დაწესებულ საზედამხებელო კაპიტალის 20-პროცენტო ზღვრის ნიშნულს. შესაბამისად, ეს სისტემის მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. შედარებით მაღალი საპროცენტო რისკის მქონე ცალკეულ ბანკებთან ტარდება მიტიგაციის საზედამხებელო ღონისძიებები. მიმდინარე პერიოდში რისკის ანალიზისას კონცენტრირება ხდება განაკვეთების ზრდის სტრესზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არსებული განაკვეთები საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა.

2014 წელს საქართველოში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა ლიკვიდობის საზედამხებელო მოთხოვნებთან დაკავშირებით: უფრო დეტალურად გაიწერა ლიკვიდური აქტივების ცალკეული კატეგორიები, გამკაცრდა მოთხოვნები არარეზიდენტ ბანკებში განთავსებულ რესურსებზე, დაწესდა შეღავათი გრძელვადიან სადეპოზიტო სერტიფიკატებზე, რეპო ოპერაციების ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაზუსტდა ლიკვიდობის პოზიციაში მისი გათვალისწინების მიდგომები.

ასევე, მიმდინარეობდა “ბაზელ III”-ის ლიკვიდობის კოეფიციენტის კალიბრაციის და საბანკო სისტემაში მისი დანერგვის პროცესი, რაც მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის მიმართულებით თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს და იძლევა ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტი-

ფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პრუდენციულ ზედამხედველობას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ის არ მოიცავს ლიკვიდობის რისკის რეგულირების ისეთ განუყოფელ ნაწილს, როგორიცაა, მაგალითად, ვალდებულებების გადახდების კონცენტრაცია, რეალურად მოქმედი დაფინანსების საგანგებო გეგმა და სხვა, რასაც ლიკვიდობის რისკის შეფასებებისას ყურადღება ეთმობა. ამასთან, გრძელვადიანი ლიკვიდობის რეგულირების გასაუმჯობესებლად, LCR-ის მოთხოვნის ამოქმედების შემდეგ იგეგმება წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) შემუშავება.

ღასკვნა

2014 წლის ბოლოსათვის საქართველოს საბანკო სისტემა ინარჩუნებდა კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, ინარჩუნებდა ლიკვიდობის პოზიტიურ მაჩვენებელს და რენტაბელობას. შესაბამისად, ადეკვატურად რეაგირებდა რისკებზე.

„ბაზელ I“-ით დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 13.6 პროცენტს აჭარბებს, ხოლო საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტი 17.4 პროცენტს აღწევს, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე შესაბამისად 5.6 და 5.4 პროცენტული პუნქტით მეტია. ამდენად, მაღალია მარტივი ლევერიჯის კოეფიციენტიც (კაპიტალი/ აქტივებთან), რომლის მნიშვნელობა 17.4 პროცენტს აღწევს, ხოლო მაღალი ლიკვიდურობის გამო, წმინდა სესხების კაპიტალთან თანაფარდობა 3.41-ის ტოლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზელ II/III-ის დანერგვის შედეგად მოცემული „ბაზელ I“-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ეტაპობრივად შემცირდება ყოველწლიურად, 2017 წელს მის სრულ გაუქმებამდე. 2015 წლიდან „ბაზელ I“-ზე დაფუძნებული მინიმალური მოთხოვნები უკვე 7.6 პროცენტს და 11.4 პროცენტს შეადგენს. კომფორტულია კაპიტალის ადეკვატურობა განახლებული ბაზელ II/III-ის ჩარჩოს ფარგლებშიც. 99 კერძოდ, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენს 13.1 პროცენტს, ხოლო საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტი – 16.5 პროცენტს, რაც კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებზე შესაბამისად 4.6 და 6 პროცენტული პუნქტით მეტია. ასევე, პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსები როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით.



გამომყვანული ლიტერატურა

1. ხანთაძე გ. ცაავა გ. – საბანკო ოპერაციები, გამომც. „წიგნის სახელოსნო“, 2012.
2. Ramakrishna S.- Enterprise Compliance Risk Management: An Essential Toolkit for Banks and Financial Services (Wiley Corporate F&A) Hardcover – 2015.
3. McMillan J. - The End of Banking: Money, Credit, and the Digital Revolution, 2014.
4. Lessambo F. - The International Banking System: Capital Adequacy, Core Businesses and Risk Management, 2013.
5. Lothrop H.,- How to Protect Your Bank from Rising Interest Rates: A Practical Guide to Community Bank Hedging Solutions, 2013.
6. Clifford Gomez.,-Banking and Finance-Theory, Law and Practice.,-PHI Learning Private limited, New Delhi. 2013.
7. Benton E. Gup.,-Banking and Financial Institutions;-A Guide for Directors, Investors, and Counterparties.,-Publ. by John Wiley & Sons Inc., Hoboken, New Jersey.; 2011.
8. <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual2014.pdf>.
9. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/individual/sabanko_zedamx/kredit_koncentr_220615.pdf.
10. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/riskebis_martva_20_06_14.PDF.

FEATURES OF THE RISKS OF INFLUENCE IN BANK SYSTEM

GIORGI KHANTADZE

Asoc. prof. of GTU

E-mail: giadec6@yahoo.com

Summary

The economic risk is connected to the process of making economy decisions, when there is not clear their result. This considers existence of one or several variants of its finishing, fulfillment of which has different probability. Acknowledgment of the similar situation gives a possibility to a person to decide uncertainty considering the risk assessment criteria, by making one decision form several variants of the solution.

In the processes of strategic and operational management of credit organization activity the risk-management activities are directed to revealing the risk size, determination of their admissible limit level and keeping the current risk size in the given limits, which are determined as by regulators, as by internal rules. Also, we have to understand that the normative requirements of regulator are founded on the bank system average risk indicators, that's why it's appropriate to formulate the own risk assessment.

In the framework of credit organization financial management, the main aim of integrated risk-management system functioning represents support of acceptance of risks to be solved in the process of bank activities, which will be adequate to the business scale and size of own means.